საქართველოს მთავრობის

დადგენილება №447

2018 წლის 31 აგვისტო

ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის (დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ):

1. მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სამეანო და ნეონატალური მომსახურების მიმწოდებელი ყველა სტაციონარული დაწესებულება ვალდებულია, 2018 წლის 1 იანვრამდე თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს ამ დანართით განსაზღვრულ პირობებთან და 2019 წლის 1 იანვრამდე მოიპოვოს ნებართვის დანართი – „სამეანო-ნეონატალური მომსახურება“, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესის გათვალისწინებით.“.

2. №2[1] დანართის (სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები) XVII თავს (ახალშობილთა ინტენსიური მოვლის სერვისის (NICU) შემთხვევაში, სტაციონარს დამატებით უნდა ჰქონდეს) 39-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-40 პუნქტი:

„

40	ახალშობილთა ინტენსიური მოვლის სერვისის (NICU) ფარგლებში დასაქმებული შესაბამისი სპეციალობის ექიმები 2 წელიწადში ერთხელ უნდა მონაწილეობდნენ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამაში კრიტიკულ ახალშობილთა მართვის თანამედროვე პრინციპების დაუფლების მიმართულებით	შესაბამისი სპეციალობის ექიმები – სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული საექიმო სპეციალობები: „ნეონატოლოგია“, „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“, „ბავშვთა კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინა“, „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“ და სუბსპეციალობის მოწმობა „ბავშვთა ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**